

## 2020 წლის ფინანსური ანგარიშგების

### განმარტებითი შენიშვნები

#### 1. ზოგადი ნაწილი

1.1. შპს „ალუპლასტ გლას“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრებულია 2015 წლის 15 სექტემბერს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 446963242, იურიდიული მისამართი - საქართველო, ქ. ბათუმი, ა. მელაშვილის ქ. # 33-35, ბ. 6. კომპანია დარეგისტრებულია დღგ-ის გადამხდელად.

1.2. კომპანიის დამფუძნებელია საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირი, რეზო ჯაიანი (პ.გ. 61004009908) - 100%, დირექტორი რეზო ჯაიანი (პ.გ. 61004009908).

1.3. კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა მეტალო პლასმასის მასალების იმპორტი, რეალიზაცია.

1.4. კომპანიას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არ ჰყავს კომერციულ საქმიანობას მიმღევარი შვილობილი და მეკავშირე საწარმოები.

1.5. წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

#### 2. მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. 2017 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს შსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

2.2. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია.



სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

2.3. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელოს, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შემოღუღვა. შესაბამისად, კომპანიის 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.

2.5. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

2.6. კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

#### **შემოსავლების აღიარება**

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის შეთოდის შესაბამისად.

რეალიზებული საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა აღიარებულია შემოსავლის შემცირების გზით, გაყიდვების აღიარებასთან ერთად.

#### **საექვო მოთხოვნების აღიარება**

კომპანიის საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის შექმნა, ან დებიტორული დავალიანების უფრო ადრე აღიარება საექვო მოთხოვნად.



## ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და



(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

#### გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

#### დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

#### მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

#### ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოდგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.



### გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

შენობა-ნაგებობები - 25 წელი;

მანქანა-დანადგარები - 5-10 წელი;

კომპიუტერული ტექნიკა - 4-5 წელი;

ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა - 5-10 წელი;

სატრანსპორტო საშუალებები - 5 წელი;

სხვა ძირითადი საშუალებები - 2-5 წელი.

ე) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის (გარდა სასაწყობო აღრიცხვის კომპიუტერული პროგრამისა), რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 10%; სასაწყობო აღრიცხვის კომპიუტერული პროგრამის ამორტიზაციისათვის გამოიყენება კლებადი ნაშთის მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით 15%.

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.



მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

## 2.7. გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები), რომლებისთვისაც კანონი მოგვიანებით შედის ძალაში (2023 წლის 1 იანვრიდან). კომპანიის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა).

2017-2020 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

## 2.8. წარდგენის ვალუტა და ეროვნული სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

## 2.9. გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:



2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.86.77 ლარი;

1 EUR=3.2095 ლარი.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=3.2766 ლარი;

1 EUR=4.0233 ლარი.

### 3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

#### 3.1. ფული და ფულის ეკვივალენტები:

|                                  | ნაშთი<br>31.12.2020<br>მდგომარეობით | ნაშთი<br>31.12.2019<br>მდგომარეობით |
|----------------------------------|-------------------------------------|-------------------------------------|
| ნაღდი ფული სალაროში              | 28490                               | 11473                               |
| ლარი საბანკო ანგარიშებზე         | 105856                              | 37775                               |
| აშშ დოლარები საბანკო ანგარიშებზე | 54342                               | 66                                  |
| ევროები საბანკო ანგარიშებზე      |                                     |                                     |
| ლარი სხვა საბანკო ანგარიშებზე    | 0                                   |                                     |
| სულ:                             | 188688                              | 49314                               |

#### 3.2. სავაჭრო მოთხოვნები:

|                                                | ნაშთი<br>31.12.2020<br>მდგომარეობით | ნაშთი<br>31.12.2019<br>მდგომარეობით |
|------------------------------------------------|-------------------------------------|-------------------------------------|
| სავაჭრო მოთხოვნები რეზიდენტი პირების მიმართ    | 888159                              | 823477                              |
| სავაჭრო მოთხოვნები არარეზიდენტი პირების მიმართ | 0                                   | 0                                   |
| სულ:                                           | 622544                              | 823477                              |



3.3. მოთხოვნები ანგარიშვალდებული პირების მიმართ:

|                         | ნაშთი<br>31.12.2020<br>მდგომარეობით | ნაშთი<br>31.12.2019<br>მდგომარეობით |
|-------------------------|-------------------------------------|-------------------------------------|
| სხვა მიმდინარე აქტივები | 1626                                | 0                                   |
| სულ:                    | 1626                                | 0                                   |

3.4. გადახდილი ავანსები და წინასწარ ანაზღაურებული ხარჯები:

|                                              | ნაშთი<br>31.12.2020<br>მდგომარეობით | ნაშთი<br>31.12.2019<br>მდგომარეობით |
|----------------------------------------------|-------------------------------------|-------------------------------------|
| რეზიდენტ მიმწოდებლებზე გადახდილი ავანსები    | 69645                               | 0                                   |
| არარეზიდენტ მიმწოდებლებზე გადახდილი ავანსები | 644663                              | 130901                              |
| სულ:                                         | 714308                              | 130901                              |

3.5. მარაგები:

|                         | ნაშთი<br>31.12.2020<br>მდგომარეობით | ნაშთი 31.12.2019<br>მდგომარეობით |
|-------------------------|-------------------------------------|----------------------------------|
| გასაყიდი საქონელი       | 2068152                             | 1388843                          |
| საწვავ-საცხები მასალები | 14914                               | 16099                            |
| ნედლეული დამასალები     | 253862                              | 830353                           |
| სულ:                    | 2336928                             | 2235295                          |

3.6. ძირითადი საშუალებები:

|                                                      | ნაშთი<br>31.12.2020<br>მდგომარეობით | ნაშთი<br>31.12.2019<br>მდგომარეობით |
|------------------------------------------------------|-------------------------------------|-------------------------------------|
| ნაგებობები                                           | 3195                                | 3359                                |
| მანქანა-დანადგარები                                  | 161593                              | 165449                              |
| კავშირგაბმულობა, ოფისის აღჭურვილობა და კომპ. ტექნიკა | 18618                               | 16072                               |
| ავეჯი                                                | 6860                                | 4889                                |
| სატრანსპორტო საშუალებები                             | 217356                              | 33817                               |
| სხვა ძირითადი საშუალებები                            | 56983                               | 53719                               |
| სულ:                                                 | 464605                              | 277305                              |



კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ძირითადი საშუალებების ერთიანი დაგროვილი ცვეთის თანხა შეადგენდა:

2020 წლის ბოლოს - 385060 ლარი;

2019 წლის ბოლოს - 257902 ლარი.

3.7. არამატერიალური აქტივები:

|                         | ნაშთი<br>31.12.2020<br>მდგომარეობით | ნაშთი<br>31.12.2019<br>მდგომარეობით |
|-------------------------|-------------------------------------|-------------------------------------|
| პროგრამული უზრუნველყოფა | 3184                                | 3658                                |
| სულ:                    | 3184                                | 3658                                |

არამატერიალური აქტივების ერთიანი დაგროვილი ამორტიზაციის თანხა შეადგენდა:

2020 წლის ბოლოს - 1562 ლარი;

2019 წლის ბოლოს - 1088 ლარი.

3.8. სავაჭრო ვალდებულებები:

|                                               | ნაშთი<br>31.12.2020<br>მდგომარეობით | ნაშთი<br>31.12.2019<br>მდგომარეობით |
|-----------------------------------------------|-------------------------------------|-------------------------------------|
| დავალიანება რეზიდენტი მიმწოდებლების მიმართ    | 29969                               | 42325                               |
| დავალიანება არარეზიდენტი მიმწოდებლების მიმართ | 1015838                             | 799644                              |
| სულ:                                          | 1045807                             | 841969                              |

31.12.2020 წ. მდგომარეობით, კომპანიას ჰქონდა კრედიტორული დავალიანება 17 რეზიდენტი მიმწოდებლისა და 12 არარეზიდენტი მიმწოდებლის წინაშე.



3.9. მიმდინარე სასესიო ვალდებულებები:

|                                                                | ნაშთი<br>31.12.2020<br>მდგომარეობით | ნაშთი<br>31.12.2019<br>მდგომარეობით |
|----------------------------------------------------------------|-------------------------------------|-------------------------------------|
| ფიზიკურ პირისგან მიღებული მოკლევადიანი სესხის ძირი             | 0                                   | 0                                   |
| ფიზიკურ პირისგან მიღებულ მოკლევადიან სესხზე დარიცხული პროცენტი | 2118                                | 2148                                |
| სულ:                                                           | 2118                                | 2118                                |

3.10. საგადასახადო ვალდებულებები:

|                                    | ნაშთი<br>31.12.2020<br>მდგომარეობით | ნაშთი<br>31.12.2019<br>მდგომარეობით |
|------------------------------------|-------------------------------------|-------------------------------------|
| მიმდინარე საგადასახადო დავალიანება | 138309                              | 141170                              |
| სულ:                               | 138309                              | 141170                              |

3.11. სხვა მიმდინარე ვალდებულებები:

|                                               | ნაშთი<br>31.12.2020<br>მდგომარეობით | ნაშთი<br>31.12.2019<br>მდგომარეობით |
|-----------------------------------------------|-------------------------------------|-------------------------------------|
| მიღებული ავანსები                             | 99860                               | 14622                               |
| გადასახდელი ხელფასები                         | 0                                   | 505106                              |
| ვალდებულებები ანგარიშვალდებული პირების მიმართ | 7416                                | 0                                   |
| სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები               | 1176                                | 10952                               |
| სულ:                                          | 108452                              | 530680                              |



### 3.12. საკუთარი კაპიტალი:

|                             | ნაშთი<br>31.12.2020<br>მდგომარეობით | ნაშთი<br>31.12.2019<br>მდგომარეობით |
|-----------------------------|-------------------------------------|-------------------------------------|
| წესდებით დადგენილი კაპიტალი |                                     |                                     |
| გაუნაწილებელი მოგება        | 3302812                             | 2005535                             |
| სულ:                        | 3302812                             | 2005535                             |

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადით დაბეგვრის რეფორმის შესახებ (დაბეგვრის ახალი წესი ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამოუმუშავების თარიღიდან მისი ფაქტობრივად გაცემის თარიღამდე. 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ეს კანონი ძალაში შევიდა ყველა კომერციული იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა (როგორც არის ბანკები, საკრედიტო კავშირები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები). ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, კომპანიის 2019-2020 წლების მოგება შემცირებულია მოგების გადასახადის მხოლოდ იმ ოდენობით, რაც წარმოიშვა 2020 წელს გაცემული დივიდენდებიდან (მოგების განაწილებიდან).

### 3.13. ნეტო ამონაგები და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

2019-2020 წლებში, კომპანიის ნეტო-ამონაგები მთლიანად შედგებოდა სარემონტო-სამშენებლო მასალების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლებიდან. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება დათვლილია საშუალო შეწონილი ფასების მეთოდის გამოყენებით.

### 3.14. მიწოდების ხარჯები:

|                                   | 2020 წელი | 2019 წელი |
|-----------------------------------|-----------|-----------|
| 7310 რეკლამის ხარჯები             | 596       | 308       |
| 7340 საწვავის ხარჯები (მიწოდების) | 256221    | 316095    |
| 7381 ავტომატური რემონტის ხარჯები  | 136511    | 93243     |
| 7390 მიწოდების სხვა ხარჯები       | 14710     | 11695     |
| სულ:                              | 408038    | 421341    |



3.15. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები:

|      |                                                   | 2020 წელი      | 2019 წელი      |
|------|---------------------------------------------------|----------------|----------------|
| 7410 | შრომის ანაზღაურება (საერთო-ადმინისტრაციული)       | 1296498        | 1228996        |
| 7415 | საბუნსიო ანარიცხები                               | 23506          | 22561          |
| 7420 | საიჯარო ქირა                                      | 299500         | 269500         |
| 7422 | ელექტროენერგიის ხარჯები                           | 6502           | 5063           |
| 7423 | გაზი, წყალი, დასფთავება და ანალოგიური ხარჯები     | 864            | 864            |
| 7426 | საკანცელარიო ხარჯები                              | 3286           | 3289           |
| 7427 | კომპიუტერის ხარჯები                               | 2251           | 2854           |
| 7430 | კომუნიკაციის ხარჯები                              | 7939           | 5811           |
| 7431 | დაცვის ხარჯები                                    | 3483           | 3735           |
| 7435 | საერთო დანიშნულების დაზღვევის ხარჯები             | 6769           | 11371          |
| 7440 | საწვავის ხარჯები (საერთო-ადმინისტრაციული)         | 17237          | 25968          |
| 7450 | საკონსულტაციო და ადვოკატის ხარჯები                | 27500          | 34470          |
| 7455 | საერთო დანიშნულების ძირ. საშაღებების ცვეთა        | 132670         | 108003         |
| 7456 | საერთო დანიშნულების არამატ. აქტივების ამორტიზაცია | 475            | 280            |
| 7465 | საგადასახადო ხარჯები                              | 3711           | 2911           |
| 7470 | საბანკო ხარჯები                                   | 59841          | 13746          |
| 7475 | მიწის ნაკვეთის ხარჯები (საერთო-ადმინისტრაციული)   | 366            | 1784           |
| 7481 | ავტომანქანების რემონტის ხარჯები                   | 2852           | 220            |
| 7485 | წარმოშობადგენლობითი ხარჯები                       | 148            | 305            |
| 7490 | სხვა საერთო-ადმინ. ხარჯები, რომლებიც გამოიქვითება | 10813          | 4908           |
| 7495 | საქველმოქმედო ხარჯები                             | 10000          | 0              |
|      | <b>სულ:</b>                                       | <b>1916211</b> | <b>1746637</b> |

3.16. არასაოპერაციო შემოსავლები:

|      |                               | 2020 წელი     | 2019 წელი     |
|------|-------------------------------|---------------|---------------|
| 8180 | დადებითი საკრსო სხვაობები     | 28221         | 22466         |
| 8190 | სხვა არასაოპერაციო შემოსავალი | 107131        | 112069        |
|      |                               | 0             | 0             |
|      | <b>სულ:</b>                   | <b>135352</b> | <b>134535</b> |

3.17. არასაოპერაციო ხარჯები:

|      |                                       | 2020 წელი     | 2019 წელი    |
|------|---------------------------------------|---------------|--------------|
| 8211 | საპროცენტო ხარჯები ფიზიკური პირებიდან | 0             | 0            |
| 8280 | უარყოფითი საკრსო სხვაობები            | 117297        | 56432        |
| 8285 | საგადასახადო ჯარიმები და სარაგები     | 7218          | 9884         |
| 8290 | სხვა არასაოპერაციო ხარჯები            | 647           | 368          |
|      | <b>სულ:</b>                           | <b>125162</b> | <b>49700</b> |



3.18. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

2021 წლის 1 იანვრიდან 28 სექტემბრამდე პერიოდში, რამე საყურადღებო მოვლენას კომპანიის საქმიანობაში ან მის გარშემო აღვილი არ ჰქონია.

3.19. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2021 წლის 29 სექტემბერს.

დირექტორი: რ. ჯაიფი

30.09.2021



## სრული შემოსავლის ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

|                                                                     | საანგარიშგებო პერიოდი |          |
|---------------------------------------------------------------------|-----------------------|----------|
|                                                                     | 2019                  | 2020     |
| ამონაგები                                                           | 15266662              | 17122091 |
| რეალიზებული პროდუქციის / გაწეული მომსახურების თვითღირებულება        | 11110218              | 12139818 |
| მოგება ან ზარალი რეალიზაციიდან                                      | 4156444               | 4982274  |
| სხვა საოპერაციო შემოსავლები                                         | 112189                | 106780   |
| სულ საოპერაციო შემოსავლები:                                         | 4268633               | 5089054  |
| მიწოდების ხარჯები                                                   | 421341                | 408038   |
| საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები                                   | 1746788               | 1916210  |
| სხვა საწარმოო დანიშნულების ხარჯები                                  | 379                   | 645      |
| სულ საოპერაციო ხარჯები:                                             | 2168508               | 2324893  |
| ნეტო შემოსავალი ძირით. საშუალ. და არამატ. აქტივების გაყიდვიდან      |                       |          |
| ფინანსური შემოსავლები                                               |                       | 351      |
| მოგების წილი კაპიტალ-მეთოდით აღრიცხული მეკავშირე საწარმოებიდან      |                       |          |
| მოგების წილი კაპიტალ-მეთოდით აღრიცხული ერთობლივი საქმიანობიდან      |                       |          |
| დადებითი საკურსო სხვაობები                                          | 22466                 | 28221    |
| სხვა გაუთვალისწინებელი შემოსავლები                                  |                       |          |
| სულ არასაოპერაციო შემოსავლები:                                      | 22466                 | 28572    |
| ზარალი ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების გასვლიდან  |                       |          |
| ფინანსური დანახარჯები                                               |                       |          |
| ზარალის წილი კაპიტალ-მეთოდით აღრიცხული მეკავშირე საწარმოებიდან      |                       |          |
| ზარალის წილი კაპიტალ-მეთოდით აღრიცხული ერთობლივი საქმიანობიდან      |                       |          |
| საგადასახადო ჯარიმები და სასურავები                                 | 9884                  |          |
| უარყოფითი საკურსო სხვაობები                                         | 56431                 | 124516   |
| სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯები                                      |                       |          |
| სულ არასაოპერაციო ხარჯები:                                          | 66315                 | 124516   |
| მოგება დაბეგვრამდე:                                                 | 2056276               | 2668217  |
| მოგების გადასახადის ხარჯი                                           |                       |          |
| სულ პერიოდის მოგება ან ზარალი განგრძობითი ოპერაციებიდან:            | 2056276               | 2668217  |
| მოგება ან ზარალი შეწყვეტილი ოპერაციებიდან                           |                       |          |
| სულ პერიოდის მოგება ან ზარალი                                       | 2056276               | 2668217  |
| მათ შორის, მოგება ან ზარალი მისაკუთვნებელი:                         |                       |          |
| სათავო საწარმოს მისაკუთრებებზე                                      | 2056276               | 2668217  |
| არამაკონტროლებელ წილებზე                                            |                       |          |
| ძირით. საშუალ. და არამატ. აქტ. გადაფასებიდან შემოსულობები ან ზარალი |                       |          |
| ფინანსური აქტივების შეფასებიდან შემოსულობები ან ზარალი              |                       |          |
| მეკავშირე საწარმოს სხვა სრული შემოსავლის წილი                       |                       |          |
| სხვა სრული შემოსავალი                                               |                       |          |
| სხვა სრულ შემოსავალთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯი      |                       |          |
| სულ პერიოდის სხვა სრული შემოსავალი, გადასახადის გამოკლებით:         |                       |          |
| სულ საანგარიშო პერიოდის სრული შემოსავალი:                           | 2056276               | 2668217  |
| მათ შორის, სრული შემოსავალი მისაკუთვნებელი:                         |                       |          |
| სათავო საწარმოს მისაკუთრებებზე                                      | 2056276               | 2668217  |
| არამაკონტროლებელ წილებზე                                            |                       |          |



## ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

|                                                           | 01.01.2020     | 01.01.2021     |
|-----------------------------------------------------------|----------------|----------------|
| <b>აქტივები</b>                                           |                |                |
| <i>მიმდინარე აქტივები, სულ:</i>                           | <i>3302312</i> | <i>4180511</i> |
| ფულადი სახსრები                                           | 49313          | 188688         |
| მოკლევადიანი ინვესტიციები                                 | 0              | 0              |
| დებიტორული დავალიანება მიწოდებიდან და მომსახურებიდან      | 824993         | 888159         |
| მოთხოვნა პარტნიორის წინაშე კაპიტალის შევსებაზე            | 0              | 0              |
| ავანსები და წინასწარ ანაზღაურებული ხარჯები                | 130945         | 714308         |
| სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები                              | 0              | 0              |
| სასაქონლო-მატერიალური მარაგი                              | 2235413        | 2336928        |
| წინასწარ გადახდილი გადასახადები                           | 60331          | 50802          |
| მისაღები პროცენტები, დივიდენდები და მსგავსი მოთხოვნები    | 0              | 0              |
| სხვა მიმდინარე აქტივები                                   | 1317           | 1626           |
| გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები                 | 0              | 0              |
| <i>გრძელვადიანი აქტივები, სულ:</i>                        | <i>280963</i>  | <i>467789</i>  |
| ძირითადი საშუალებები                                      | 277305         | 464605         |
| ბიოლოგიური აქტივები                                       | 0              | 0              |
| არამატერიალური აქტივები                                   | 3658           | 3184           |
| გრძელვადიანი ფინანსური აქტივები                           | 0              | 0              |
| გადავადებული საგადასახადო აქტივი                          | 0              | 0              |
| კაპიტალ-მეთოდით აღრიცხული ინვესტიციები                    | 0              | 0              |
| საინვესტიციო ქონება და სხვა გრძელვადიანი ინვესტიციები     | 0              | 0              |
| <b>სულ აქტივები:</b>                                      | <b>3583275</b> | <b>4648300</b> |
| <b>ვალდებულებები და კაპიტალი</b>                          |                |                |
| <i>მოკლევადიანი ვალდებულებები, სულ:</i>                   | <i>1577782</i> | <i>1345488</i> |
| ვალდებულებები, წარმოქმნილი მიწოდებიდან და მომსახურებიდან  | 841969         | 1045807        |
| მოკლევადიანი სესხები                                      | 0              | 0              |
| საგადასახადო ვალდებულებები                                | 201502         | 189111         |
| გასაცემი პროცენტები, დივიდენდები და მსგავსი ვალდებულებები | 2118           | 2118           |
| სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები                           | 532193         | 108452         |
| გასაყიდად გამიზნულ გრძელვ. აქტივ. დაკავშირ. ვალდებულებები | 0              | 0              |
| <i>გრძელვადიანი ვალდებულებები, სულ:</i>                   | <i>0</i>       | <i>0</i>       |
| გრძელვადიანი სესხები                                      | 0              | 0              |
| სხვა გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები                 | 0              | 0              |
| გადავადებული საგადასახადო ვალდებულება                     | 0              | 0              |
| გრძელვადიანი ანარიცხები                                   | 0              | 0              |
| გადავადებული შემოსავალი                                   | 0              | 0              |
| <i>სულ კაპიტალი:</i>                                      | <i>2005493</i> | <i>3302812</i> |
| საწესდებო (სააქციო) კაპიტალი                              | 0              | 0              |
| საემისიო (დამატებითი) კაპიტალი                            | 0              | 0              |
| დაგროვილი მოგება / დაუფარავი ზარალი                       | 2005493        | 3302812        |
| რეზერვები და დაფინანსება                                  | 0              | 0              |
| არამაკონტროლებელი წილი                                    | 0              | 0              |
| <b>სულ ვალდებულებები და კაპიტალი:</b>                     | <b>3583275</b> | <b>4648300</b> |



**ფულადი ნაკადების ანგარიშგება**  
(საოპერაციო საქმიანობიდან ნაკადების წარდგენის პირდაპირი მეთოდით)

ერთეული: 1 GEL

|                                                                    | საანგარიშგებო პერიოდი |                 |
|--------------------------------------------------------------------|-----------------------|-----------------|
|                                                                    | 2019                  | 2020            |
| <b>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:</b>                   |                       |                 |
| მყიდველებისა და დამკვეთებისაგან მიღებული ფულადი სახსრები           | 17785925              | 20270296        |
| სხვა შემოსულობანი საოპერაციო საქმიანობიდან                         | 1131                  | 414             |
| ზარალის დასაფარავად (ზიანის ასანაზღაურებლად) მიღებული თანხები      | 0                     | 0               |
| მიმწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები                             | -12419579             | -13492004       |
| გაცემული შრომის ანაზღაურება                                        | -677716               | -1765520        |
| სამივლინებო ხარჯების ანაზღაურება                                   | 0                     | 0               |
| ანგარიშვალდებულ პირებზე გაცემული ავანსები                          | 0                     | 0               |
| განაცემები საქველმოქმედო მიზნით                                    | 0                     | -10000          |
| გადახდილი გადასახადები (მოგების გადასახადის გარდა)                 | -3209479              | -3218122        |
| გადახდილი მოგების გადასახადი                                       | -43209                | -205635         |
| საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები              | -65254                | -113540         |
| <b>ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საოპერაციო საქმიანობიდან</b>     | <b>1371819</b>        | <b>1465889</b>  |
| <b>ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:</b>                 |                       |                 |
| ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა          | 0                     | -221642         |
| ძირითადი საშუალებებისა და არამატ. აქტივების გასვლიდან შემოსულობანი | 0                     | 0               |
| გრძელვადიანი ინვესტიციების შეძენა                                  | 0                     | 0               |
| გრძელვადიანი ინვესტიციების გასვლიდან შემოსულობანი                  | 0                     | 0               |
| მიღებული პროცენტები                                                | 0                     | 0               |
| მიღებული დივიდენდები                                               | 0                     | 0               |
| მიღებული მოგების წილი ერთობლივი საქმიანობიდან                      | 0                     | 0               |
| სხვა შემოსულობანი / განაცემები საინვესტიციო საქმიანობიდან (ნეტო)   | 0                     | 0               |
| <b>ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საინვესტიციო საქმიანობიდან</b>   | <b>0</b>              | <b>-221642</b>  |
| <b>ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან:</b>                    |                       |                 |
| შემოსულობანი აქციების ემისიისაგან / კაპიტალის ზრდისაგან            | 0                     | 0               |
| საკუთარი აქციების გამოსყიდვა ან გაცემები კაპიტალის შემცირების გამო | 0                     | 0               |
| სესხების აღება                                                     | 0                     | 0               |
| სესხების დაფარვა                                                   | 0                     | 0               |
| ფინანსური იჯარის (ლიზინგის) ვალდებულებების დაფარვა                 | 0                     | 0               |
| გადახდილი პროცენტები                                               | 0                     | 0               |
| გადახდილი დივიდენდები                                              | -1333750              | -1107000        |
| გადახდილი მოგების წილი ერთობლივი საქმიანობიდან                     | 0                     | 0               |
| სხვა შემოსულობანი / გაცემები საფინანსო საქმიანობიდან (ნეტო)        | 0                     | 0               |
| <b>ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საფინანსო საქმიანობიდან</b>      | <b>-1333750</b>       | <b>-1107000</b> |
| <b>ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული ზრდა / კლება (ნეტო)</b>   | <b>7123</b>           | <b>2128</b>     |
| <b>ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი:</b>                             | <b>45192</b>          | <b>139375</b>   |
| <b>ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის დასაწყისისათვის:</b>   | <b>4121</b>           | <b>49313</b>    |
| <b>ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის ბოლოსათვის:</b>        | <b>49313</b>          | <b>188688</b>   |



საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

| საბუღალტრო /<br>საწესდებო<br>კაპიტალი                          | საგარეო /<br>ფინანსური<br>კაპიტალი | გადასაცემი /<br>დასაცემი<br>ზარალი | გადასაცემი /<br>დასაცემი<br>ზარალი | გადასაცემი /<br>დასაცემი<br>ზარალი | სხვა სრული<br>შემოსავალი | კაპიტალი<br>არამაგონ-<br>ტროლები წილი | სხვა საკუთარი<br>კაპიტალი |
|----------------------------------------------------------------|------------------------------------|------------------------------------|------------------------------------|------------------------------------|--------------------------|---------------------------------------|---------------------------|
| <b>ნაშთი 01.01.2019-ის</b>                                     |                                    |                                    |                                    |                                    |                          |                                       |                           |
| სააღრიცხვო პერიოდის შეცვლით გამოწვეული კორექტირებები           | 0                                  | 0                                  | 1600920                            | 0                                  | 0                        | 1600920                               | 1600920                   |
| შეცვლით გამოწვეული კორექტირებები                               | 0                                  | 0                                  | 0                                  | 0                                  | 0                        | 0                                     | 0                         |
| კორექტირებების შედეგად გადასაცემი წილი ნაშთი                   | 0                                  | 0                                  | 0                                  | 0                                  | 0                        | 0                                     | 0                         |
| საანგარიშგებო პერიოდის მოგება ან ზარალი                        | 0                                  | 0                                  | 2056317                            | 0                                  | 0                        | 2056317                               | 2056317                   |
| ძირ. საშ. და არამატ. აქტ. გადასაცემიდან შემოსულობები ან ზარალი | 0                                  | 0                                  | 0                                  | 0                                  | 0                        | 0                                     | 0                         |
| ფინანსური აქტივების შეფასებიდან შემოსულობები ან ზარალი         | 0                                  | 0                                  | 0                                  | 0                                  | 0                        | 0                                     | 0                         |
| სხვა ცვლილებები სრულ შემოსავალში                               | 0                                  | 0                                  | 0                                  | 0                                  | 0                        | 0                                     | 0                         |
| საანგარიშგებო პერიოდის მდლიანი სრული შემოსავალი                | 0                                  | 0                                  | 2056317                            | 0                                  | 0                        | 2056317                               | 2056317                   |
| შესაცემების შენატანები კაპიტალში                               | 0                                  | 0                                  | 0                                  | 0                                  | 0                        | 0                                     | 0                         |
| საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტების გამოსყიდვა შესაცემებისგან    | 0                                  | 0                                  | 0                                  | 0                                  | 0                        | 0                                     | 0                         |
| განაწილებული დივიდენდები                                       | 0                                  | 0                                  | -1651702                           | 0                                  | 0                        | -1651702                              | -1651702                  |
| სხვა შესაცემებისგან განხორციელებული მოქმედებები                | 0                                  | 0                                  | -1651702                           | 0                                  | 0                        | -1651702                              | -1651702                  |
| <b>ნაშთი 01.01.2020-ის</b>                                     |                                    |                                    |                                    |                                    |                          |                                       |                           |
| სააღრიცხვო პერიოდის შეცვლით გამოწვეული კორექტირებები           | 0                                  | 0                                  | 2005535                            | 0                                  | 0                        | 2005535                               | 2005535                   |
| შეცვლით გამოწვეული კორექტირებები                               | 0                                  | 0                                  | 0                                  | 0                                  | 0                        | 0                                     | 0                         |
| კორექტირებების შედეგად გადასაცემი წილი ნაშთი                   | 0                                  | 0                                  | 0                                  | 0                                  | 0                        | 0                                     | 0                         |
| საანგარიშგებო პერიოდის მოგება ან ზარალი                        | 0                                  | 0                                  | 2668217                            | 0                                  | 0                        | 2668217                               | 2668217                   |
| ძირ. საშ. და არამატ. აქტ. გადასაცემიდან შემოსულობები ან ზარალი | 0                                  | 0                                  | 0                                  | 0                                  | 0                        | 0                                     | 0                         |
| ფინანსური აქტივების შეფასებიდან შემოსულობები ან ზარალი         | 0                                  | 0                                  | 0                                  | 0                                  | 0                        | 0                                     | 0                         |
| სხვა ცვლილებები სრულ შემოსავალში                               | 0                                  | 0                                  | 0                                  | 0                                  | 0                        | 0                                     | 0                         |
| საანგარიშგებო პერიოდის მდლიანი სრული შემოსავალი                | 0                                  | 0                                  | 2668217                            | 0                                  | 0                        | 2668217                               | 2668217                   |
| შესაცემების შენატანები კაპიტალში                               | 0                                  | 0                                  | 0                                  | 0                                  | 0                        | 0                                     | 0                         |
| საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტების გამოსყიდვა შესაცემებისგან    | 0                                  | 0                                  | 0                                  | 0                                  | 0                        | 0                                     | 0                         |
| განაწილებული დივიდენდები                                       | 0                                  | 0                                  | -1370940                           | 0                                  | 0                        | -1370940                              | -1370940                  |
| სხვა შესაცემებისგან განხორციელებული მოქმედებები                | 0                                  | 0                                  | -1370940                           | 0                                  | 0                        | -1370940                              | -1370940                  |
| <b>ნაშთი 01.01.2021-ის</b>                                     |                                    |                                    |                                    |                                    |                          |                                       |                           |
| 0                                                              | 0                                  | 0                                  | 3302812                            | 0                                  | 0                        | 3302812                               | 3302812                   |

